



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა  
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“, მაგისტრატურა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:  
28-29 დეკემბერი 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი:  
11 მარტი 2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის და მართვის სისტემების ინჟინერიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ელექტრონიკა და ავტომატიზაცია 0714
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული 28.09.2012 № 499

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამაზ ბიჭიაშვილი (ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ავთანდილ თავხელიძე (სსიპ - ილიას სახელმწიფო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია (სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გოჩა ჩავლეშვილი ((სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ავსაჯანიშვილი (სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“ მოიცავს 120(ECTS) კრედიტს და გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და კურსდამთავრებულს ანიჭებს კვალიფიკაციას „ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემების ინჟინერიის მაგისტრი“. სასწავლო წელი შედგება ორი, საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებისაგან. თითოეულ სემესტრში სასწავლო პროცესი წარმართება რექტორის ბრძანებით სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ.

პროგრამა შედგება 35 კრედიტიანი კვლევითი და 85 კრედიტიანი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსებისაგან. პროგრამა მოიცავს ორ 95 კრედიტიან კონცენტრაციას (სტუდენტს, მისი ინტერესის შესაბამისად, არჩევითი კურსების სათანადო შერჩევით, შეუძლია შეისწავლოს შესაბამისი კონცენტრაციის საგნები).

ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, სემესტრი საშუალოდ 30 კრედიტიანია. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

სტუ-ში ერთი სემესტრი 20 კვირიანია: 15 კვირა ეთმობა სასწავლო აუდიტორულ მეცადინეობებს, 1 კვირა - შუასემესტრულ გამოცდებს, 1 – დოკუმენტური მასალის ჩაბარებას, დარჩენილი 3 კვირა განკუთვნილია დასკვნითი და დამატებითი გამოცდებისათვის.

სასწავლო პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჩატარდეს როგორც სასწავლო კვირებში, ისე სხვა დროს.

### სამაგისტრო პროგრამის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“ მიზანია:

- განუვითაროს კურსდამთავრებულებს პრობლემის ფორმულირების, მის გადასაჭრელად როგორც მართვის თეორიის, ავტომატიზაციის, კომპიუტერული და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებათა გამოყენების, ასევე სისტემების მართვადობის, დაკვირვებადობისა და მდგრადობის განსაზღვრის, მართვის სისტემების ანალიზისა და სინთეზის უნარები. შეასწავლოს მათ ექსპერიმენტის დაგეგმვა, ინფორმაციის მიღება და

ვიზუალიზაცია, ექსპერიმენტის დაყენება, შედეგების დამუშავება, ანალიზი და განზოგადება;

- აღჭურვის სპეციალისტები საინჟინრო, ეკონომიური, სოციალური და სხვა დარგების კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის მეცნიერულად დასაბუთებული, სწორი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებათა განხორციელებლად საჭირო ცოდნით სისტემების მოდელირების, იდენტიფიკაციის, ანალიზის, სინთეზის და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ;
- მოამზადოს საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი, მართვის, ავტომატიზაციის და ტესტირების სისტემების პროექტირებისა და აგებისათვის საჭირო გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიმღები სპეციალისტი.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სტუ-ს და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიასთან. პროგრამა გაზიარებულია მასში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ, არის საჯარო და ხელმისაწვდომი ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

#### • აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 27 დეკემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით შედგა საექსპერტო ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა/თათბირი, სადაც ცენტრის წარმომადგენელმა გააცნო ექსპერტებს პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტები და პროცედურები. შემდეგ მოხდა დოკუმენტების წინასწარი განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული შთაბეჭდილებების გაზიარება და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვიზიტისათვის სავარაუდო კითხვების შემუშავება.

აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციელდა 2020 წლის 28 და 29 დეკემბერს. ვიზიტის პროცესში საექსპერტო ჯგუფის წევრები შეხვდნენ:

- ✓ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას;
- ✓ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს;
- ✓ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს;
- ✓ პროგრამის ხელმძღვანელს;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს;
- ✓ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საგანმანათლებლო მიმართულების სტუდენტებს;
- ✓ ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საგანმანათლებლო მიმართულების კურსდამთავრებულებს;
- ✓ დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებს.

ონლაინ ვიზიტის ფარგლებში მოხდა აგრეთვე პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება (სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები). ვიზიტის დასასრულს

საექსპერტო ჯგუფს გამოეყო სამუშაო დრო ვიზიტის მსვლელობისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებების ჩამოსაყალიბებლად და დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გასაცნობად.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტების დამუშავებისას მოპოვებული ინფორმაციისა და ადგილზე ონლაინ ვიზიტის საფუძველზე წარმოდგენილი პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მხრივ დაადგინა, რომ პროგრამა პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან არის შესაბამისობაში, ხოლო მეორე სტანდარტით დადგენილ ნორმებთან - მეტწილ შესაბამისობაში.

▪ **რეკომენდაციები**

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გასათვალისწინებელია როგორც დამსაქმებლთა რეკომენდაციები სწავლების პრაქტიკულ მხარესა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მეტი ორიენტირების შესახებ, ასევე დარგის სპეციფიკა, მისი განვითარების სწრაფად მზარდი ტემპი და შესაბამისი გამოწვევები;
- საჭიროა გაანალიზდეს პროგრამაზე წარმატებული სწავლისა და კვლევისთვის აუცილებელი წინარე ცოდნა ან/და გამოცდილება და პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად დაწესდეს გარკვეული ცოდნა და/ან სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში, ან პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა განისაზღვროს რელევანტური პროგრამების ან მიმართულებების იდენტიფიცირების საფუძველზე;
- სააკრედიტაციო სპეციალობის სპეციფიკის, შესაბამისი გამოწვევებისა და იმის გათვალისწინებით, რომ შემოდის უფრო რთული სისტემები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროგრამის გაძლიერებას თეორიული და პრაქტიკული საკითხებით გაზომვების თანამედროვე ტექნოლოგიების (ბიოჩიპები, მობილური საზომი მოწყობილობები და შესაბამისი ოპერაციული სისტემები, ოპტიკურ ბოჭკოვანი სენსორები) მიმართულებით.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები:

- კვლევით კომპონენტზე სტუდენტთა დაშვების წინაპირობად სასურველია განისაზღვროს პროგრამის პროფესიულ ბლოკში შემავალი სავალდებულო კურსების ინტეგრირებული, ან რაიმე სხვა ფორმით გავლა, რათა სტუდენტმა სწორად მოახდინოს საკვლევო ინტერესების იდენტიფიცირება და საკვლევო საკითხის ჩამოყალიბება;
- სილაბუსებში მიეთითოს უახლესი ლიტერატურა, ნათლად გამოიკვეთოს პროგრამის მიზნები, შეფასება, ტრანსფერული უნარები;
- მაგისტრანტებში ამაღლდეს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების ცნობადობა, დაიხვეწოს მათი გამოყენების მექანიზმი;

- ამდღეს ცნობადობა ინტელექტუალური საკუთრებისა (.....,ინტელექტუალური საკუთრება“ მოიცავს სახელდობრ, საავტორო უფლებებს, მათ შორის კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების დაცვას,.....) და მისი დაცვის მექანიზმის მიმართ;
- ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება თვითშეფასების ჯგუფის წევრებს, რომ „პროგრამის გასაუმჯობესებლად აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება და ამ მიმართულებით სტუდენტების და აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობა“;
- გასაუმჯობესებელია ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდური უცხოური გამოცემების სწრაფად მიწოდების მექანიზმი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია covid ფონზე.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უნივერსიტეტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მოეწყო ;თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორიები.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის სხვადასხვა დარგში მართვის სისტემების, ავტომატიზაციისა და ტესტ-ინჟინერინგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს მწარმოებლობის ზრდას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. შესაბამისად, სპეციალისტების მომზადება მოცემული მიმართულებით დადებითად იმოქმედებს ადგილობრივ საწარმოებში უახლესი ტექნიკის დანერგვასა და სწორ ექსპლუატაციაზე, სამაშულო წარმოების პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლებისა და წარმოების მოცულობის ზრდაზე, ექსპორტის ჩანაცვლებასა და ქვეყნის სავალუტო რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე.

პროგრამის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“ მიზანია:

- მისცეს კურსდამთავრებულებს ცოდნა ექსპერიმენტის დაგეგმვის, ინფორმაციის მიღებისა და ვიზუალიზაციის, ექსპერიმენტის დაყენების, შედეგების დამუშავებისა და ანალიზის მეთოდების შესახებ;

- განუვითაროს კურსდამთავრებულებს პრობლემის ჩამოყალიბების, მის გადასაჭრელად მართვის თეორიის, ავტომატიზაციის, კომპიუტერული და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების, სისტემების მათემატიკური მოდელირების, მართვადობის, დაკვირვებადობისა და მდგრადობის განსაზღვრის, მსგავსი სისტემების ანალიზისა და სინთეზის უნარები
- აღჭურვოს სპეციალისტები საინჟინრო, ეკონომიური, სოციალური და სხვა დარგების კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის მეცნიერულად დასაბუთებული, სწორი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად საჭირო ცოდნით სისტემების იდენტიფიკაციის, ანალიზისა და სინთეზის საკითხების შესახებ;
- მოამზადოს საბაზრო მოთხოვნების შესაბამისი, ავტომატიზაციის, მართვისა და ტესტირების სისტემების პროექტირებისა და აგებისათვის საჭირო გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიმღები სპეციალისტები.

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კურსდამთავრებულის მომზადებას.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია სტუ-ს და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიასთან.

პროგრამა გაზიარებულია მასში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ, არის საჯარო და ხელმისაწვდომი ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტირების ინჟინერინგი“;
- სტუ-ს განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ.
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დებულება
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი ვებგვერდი;
- საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2019 წ.;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეხვედრა სხვადასხვა საწარმოების წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელებული შეხვედრები კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“ შინაარსი ორიენტირებულია მასში მითითებული სწავლის შედეგების მიღებაზე. კურსულში ასახულია შედეგების მიღწევის გზები, გათვალისწინებულია თითოეული სასწავლო კურსის მიერ სწავლის შედეგების განვითარების დონე, შრომის ბაზრის ტენდენციები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა რეკომენდაციები, კეთილმოწყობილი ლაბორატორიები, კომპანია National Instruments-ის, TEMPUS-ის პროექტის, კაიზერსლაუტერნის ტექნიკურ უნი-ტისა და ფოლკსვაგენის ფონდის ხელშეწყობა და სხვა აქტივობები.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას, სპეციფიკურ და ტრანსფერულ უნარ-ჩვევების განვითარებას, თანხვედრაშია სტუ-ს მიერ შემუშავებულ და უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურისთვის მოსალოდნელ შედეგებთან, ითვალისწინებს როგორც კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას ტესტ-ინჟინერინგის, მართვისა და ავტომატიზაციის პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად და მოდელირების პროექტების/ანგარიშების დამუშავებას ტექდავალების შესაბამისად, ასევე იდეების, არსებული პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ ანგარიშის მომზადებას და გადაცემას სპეციალისტებისა და



დაინტერესებულ პირთათვის კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. პროგრამის სწავლის შედეგები ხელს უწყობს ანალიზის საფუძველზე მართვის, ავტომატიზაციის და ტესტ-ინჟინერინგის მოწყობილობების/სისტემების შესახებ დასაბუთებულ დასკვნის ჩამოყალიბების და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმში ასახულია შედეგების მიღწევის გზები, გათვალისწინებულია თითოეული სასწავლო კურსის მიერ სწავლის შედეგების განვითარების დონე, შრომის ბაზრის ტენდენციები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა რეკომენდაციები, კეთილმოწყობილი ლაბორატორიები, წამყვანი უცხოური კომპანიების ხელშეწყობა და სხვა აქტივობები, პროგრამაში ჩართულ მხარეებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გასათვალისწინებელია როგორც დარგის სპეციფიკა, მისი განვითარების სწრაფად მზარდი ტემპი და შესაბამისი გამოწვევები, ასევე დამსაქმებელთა რეკომენდაციები სწავლების პრაქტიკულ მხარესა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მეტი ორიენტირების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)
- საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, 2019 წ.
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეხვედრა სხვადასხვა საწარმოების წარმომადგენლებთან
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი
- დოქტორანტურაში ჩარიცხულთა სია
- სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები

**რეკომენდაციები:**

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გასათვალისწინებელია როგორც დამსაქმებელთა რეკომენდაციები სწავლების პრაქტიკულ მხარესა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მეტი ორიენტირების შესახებ, ასევე დარგის სპეციფიკა, მისი განვითარების სწრაფად მზარდი ტემპი და შესაბამისი გამოწვევები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის**

**შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებ გვერდზე <https://gtu.ge/Study-Dep/>. გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების

გავლის გარეშე შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი არანაკლებ B2 დონისა, ან უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი B2 დონის შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის დოკუმენტი. მსგავსი სერტიფიკატის ან სხვა ანალოგიური დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში პრეტენდენტი გაივლის გასაუბრებას უცხო ენაში. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია ასევე მოიპოვოს სტუ-ს სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტმა, მობილობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის და სტუ-ს სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად. შიდა და გარე მობილობის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია სტუ-ს ვებ-გვერდზე. მობილობის პროცესის დაწყებამდე საიტზე ქვეყნდება მობილობის ვადები, საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელზეც ცხადდება მობილობა, ვაკანტური ადგილების რაოდენობა და სხვა დამატებითი სახის ინფორმაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზიდან და ინტერვიუების დროს გამოთქმული მოსაზრებებიდან ვლინდება, რომ საჭიროა გაანალიზდეს პროგრამაზე წარმატებული სწავლისა და კვლევისთვის აუცილებელი წინარე ცოდნა ან/და გამოცდილება და პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად დაწესდეს გარკვეული ცოდნა და/ან სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში, ან პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა განისაზღვროს რელევანტური პროგრამების ან მიმართულებების იდენტიფიცირების საფუძველზე.

სტუ-ს მიერ განსაზღვრული პროგრამაზე დაშვების პირობები არის გამჭვირვალე, საჯარო და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“
- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ <https://gtu.ge/quality/Files/Pdf/umaglesi%20kanon.pdf>
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 725 2009 წლის 4 სექტემბერი ქ. თბილისი. საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარმოდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ; <http://mes.gov.ge/uploads/brdzaneba725.doc>
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №53/ნ, 2017 წლის 16 მარტი ქ. თბილისი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3607443>

- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 17 ივნისის №482 დადგენილება „სტუდენტთა კონტინენტის ფორმირების და მობილობის ინსტრუქცია“ <http://gtu.ge/pdf/dadgenilebebi/dadg482.pdf>
- სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი.

**რეკომენდაციები:**

- საჭიროა გაანალიზდეს პროგრამაზე წარმატებული სწავლისა და კვლევისთვის აუცილებელი წინარე ცოდნა ან/და გამოცდილება და პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად დაწესდეს გარკვეული ცოდნა და/ან სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში, ან პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა განისაზღვროს რელევანტური პროგრამების ან მიმართულებების იდენტიფიცირების საფუძველზე.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. იგი უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს, შემდგომ კომპონენტზე ადეკვატური დაშვების წინაპირობებით და საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას გონივრულ ვადაში.

პროგრამა შედგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით (ECTS). საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება საგნების მიხედვით წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში.

კვალიფიკაცია „ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემების ინჟინერიის მაგისტრი“ ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ კურიკულუმით გათვალისწინებული 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს (ECTS). პროგრამა მოიცავს ორ 95 კრედიტიან კონცენტრაციას და შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან. კვლევითი კომპონენტი - 35 კრედიტი. სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსები - 85 კრედიტი.

სტუდენტს, მისი ინტერესის შესაბამისად, არჩევითი კურსების სათანადო შერჩევით, შეუძლია შეისწავლოს შესაბამისი კონცენტრაციის საგნები. ხოლო კვლევით კომპონენტზე, სტუდენტთა დაშვების წინაპირობად სასურველია განისაზღვროს პროგრამის პროფესიულ ბლოკში შემავალი სავალდებულო საგნების ინტეგრირებული, ან რაიმე სხვა ფორმით გავლა, რათა სტუდენტმა სწორად მოახდინოს საკვლევი ინტერესების იდენტიფიცირება და საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება.

ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, სემესტრი - როგორც წესი, საშუალოდ 30 კრედიტს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. სტუ-ში ერთი სემესტრის განმავლობაში 15 კვირა სასწავლოა (სააუდიტორიო მეცადინეობები), 1 – შუასემესტრული გამოცდის, 1 – დოკუმენტური მასალის ჩაბარების და 3 – სასესიო (დასკვნითი და დამატებითი გამოცდების). სასწავლო პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჩატარდეს როგორც სასწავლო კვირებში, ისე სხვა დროს.

სასწავლო წელი შედგება ორი, სამემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებისაგან. თითოეულ სემესტრში სასწავლო პროცესი წარიმართება რექტორის ბრძანებით სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეხვედრა სხვადასხვა საწარმოების წარმომადგენლებთან
- სამეცნიერო-სასწავლო და საწარმოო ცენტრი “ანალიზხელსაწყოს” დირექტორის მოადგილის ე.ბუცხრიკიძის რეცენზია
- სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორის გურამ ბოკუჩავას რეცენზია

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- კვლევით კომპონენტზე სტუდენტთა დაშვების წინაპირობად სასურველია განისაზღვროს პროგრამის პროფესიულ ბლოკში შემავალი სავალდებულო კურსების ინტეგრირებული, ან რაიმე სხვა ფორმით გავლა, რათა სტუდენტმა სწორად მოახდინოს საკვლევი ინტერესების იდენტიფიცირება და საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურის დონეს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება მოცემული სასწავლო კურსის შინაარსს. სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა შეესაბამება თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკას. თითოეულ სასწავლო კურსში სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული და სხვ.) იმგვარადაა შერჩეული, რომ შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსებში შესაძლებელია სწავლის შედეგების შეფასება.

სასწავლო კურსების შინაარსი ვითარდება შესავალი ნაწილიდან უფრო რთულ და კომპლექსურ საკითხებამდე. პროგრამა აგებულია თანამიმდევრულად - სასწავლო კურსს წინ უსწრებს მასზე დაშვების წინაპირობა ანუ კომპონენტი, რომლის ცოდნაც აუცილებელია ამ სასწავლო კურსის ასათვისებლად.

სამაგისტრო პროგრამა „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ სასწავლო კურსები უზრუნველყოფილია თანამედროვე ლიტერატურით: სახელმძღვანელოებით, დამხმარე სახელმძღვანელოებით, მეთოდური მითითებებით და სხვ. სასწავლო კურსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა მოიცავს სფეროს აქტუალურ მიღწევებს. პროგრამა უზრუნველყოფილია ქართულ ენაზე დაწერილი სასწავლო ლიტერატურით.

სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სამეცნიერო ბაზებით და ელექტრონული კატალოგებით. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევაში სტუდენტებს ეხმარება სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე არსებული თანამედროვე ლაბორატორიული ბაზა.

მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა ეფუძნება სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებს, სააკრედიტაციო საგანმანათლებლო პროგრამის

სპეციფიკის და იმის გათვალისწინებით, რომ შემოდის უფრო რთული სისტემები, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლებას ამ მიმართულებით. კერძოდ, გასაძლიერებელია საგანმანათლებლო პროგრამა თეორიული და პრაქტიკული საკითხებით გაზომვების თანამედროვე ტექნოლოგიების (ბიოჩიპები, მობილური საზომი მოწყობილობები და შესაბამისი ოპერაციული სისტემები, ოპტიკურ ბოჭკოვანი სენსორები) მიმართულებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიზანშეწონილია სილაბუსებში მიეთითოს უახლესი ლიტერატურა, ნათლად გამოიკვეთოს პროგრამის მიზნები, შეფასება, ტრანსფერული უნარები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი“
- სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)
- სტუდენტების გამოკითხვა
- სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) განხილვისა და დამტკიცების წესი <https://gtu.ge/quality/Files/Pdf/silabuisis%20damtkicebis%20cesi%20new.pdf>
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- სააკრედიტაციო სპეციალობის სპეციფიკის, შესაბამისი გამოწვევებისა და იმის გათვალისწინებით, რომ შემოდის უფრო რთული სისტემები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროგრამის გაძლიერებას თეორიული და პრაქტიკული საკითხებით გაზომვების თანამედროვე ტექნოლოგიების (ბიოჩიპები, მობილური საზომი მოწყობილობები და შესაბამისი ოპერაციული სისტემები, ოპტიკურ ბოჭკოვანი სენსორები) მიმართულებით.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სილაბუსებში მიეთითოს უახლესი ლიტერატურა, ნათლად გამოიკვეთოს პროგრამის მიზნები, შეფასება, ტრანსფერული უნარები.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა



- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**  
 პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის კურსები მოიცავს სხვადასხვა ტიპის პრაქტიკულ დავალებებს, რომლის მიზანია, სტუდენტმა შეძლოს, შესწავლილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ამასთანავე, პროგრამა უზრუნველყოფს იმ უნარების გამომუშავებას, რომელიც საჭიროა მაგისტრატურის საფეხურის ნებისმიერი მიმართულების დასაძლევად.

სტუდენტს, ასევე, გამოუმუშავდება ტრანსფერული უნარები, ის მოახდენს პრაქტიკულ მეცადინეობებზე ასათვისებულ ცოდნის გადატანას რეალურ საკომუნიკაციო გარემოში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების შემოქმედებით ინიციატივას. სტუდენტებს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, აგრეთვე იყვნენ სამეცნიერო გრანტების მონაწილეები, როგორც პროექტის ძირითადი შემსრულებლები. დეპარტამენტებში შექმნილია მაღალკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფი, რომელიც ამზადებს სტუდენტებს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის.

პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით სტუ-ს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ ორგანიზაციებთან: შპს „ავერსი-რაციონალი“, შპს „ქართუ უნივერსალი - თოლია“, შპს „ნოვატორი“, შპს „რუსთავის ფოლადი“, შპს „ჯი არ სი“, სს „ლადიძე“, შპს „დაბა“, სამეცნიერო, სასწავლო და საწარმოო ცენტრი „ანალიზხელსაწყო“, და შპს „სტანდარტი“. ხელშეკრულების მიხედვით, ორგანიზაცია სტუდენტს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის ჩატარებას შემკვეთის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად. პრაქტიკის დასრულების შემდეგ თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას.

სტუ ხელს უწყობს სტუდენტების შემოქმედებით ინიციატივას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თავისი ინტერესების შესაბამისად, პროფესორის კონსულტაციითა და ხელმძღვანელობით, მონაწილეობა მიიღონ, საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში; სხვადასხვა სახის კონკურსებში/ჰაკათონებში, სემინარებსა და ტრენინგებში; სამეცნიერო გრანტებში, როგორც პროექტის ძირითადი შემსრულებლები. დეპარტამენტებში შექმნილია

კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფი, რომელიც ამზადებს სტუდენტებს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის.

მაგისტრანტებში უნდა ამაღლდეს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების მიმართ ცნობადობა, დაიხვეწოს მათი გამოყენების მექანიზმი. მიზანშეწონილია აგრეთვე, ამაღლდეს ცნობადობა ინტელექტუალური საკუთრებისა (.....ინტელექტუალური საკუთრება“ მოიცავს სახელდობრ, საავტორო უფლებებს, მათ შორის კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების დაცვას,.....) და მისი დაცვის მექანიზმის მიმართ.

უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროფილით:

1. 2015 წლის ოქტომბერში და 2016 წლის დეკემბერში ტემპუსის პროგრამის ფარგლებში “ჩაშენებული სისტემების კურსების განვითარება და ინოვაციური ვირტუალური მიდგომების იმპლემენტაცია კვლევების, განათლებისა და წარმოების ინტეგრაციისთვის უკრაინაში, საქართველოსა და სასომხეთში” უცხოელი პროფესორების მიერ ჩატარდა ლექცია-ტრენინგები სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისათვის. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ლაბორატორიები აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით.
2. 2016 წლის 11-15 სექტემბერს, ქ. ნიტრაში, კონსტანტინე ფილოსოფოსის უნივერსიტეტში (სლოვაკეთი), პროექტის ფარგლებში გაიმართა ჩაშენებული სისტემების სიმპოზიუმი. სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს პროგრამის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებმა. მათ მიერ წარდგენილი იყო პრეზენტაციები. მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.
3. 2017 წლის 15-19 მაისს ჩატარდა, ამერიკული ფირმის "National Instruments" (NI) -ის და მიკროპროცესორული და საზომი სისტემების დეპარტამენტის ბაზაზე, ერთობლივი სემინარ-ტრენინგი სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით. ტრენინგების მიზანი იყო ინტეგრირებული პროგრამული პლატფორმა LabVIEW-ს და NI უახლესი აპარატურული უზრუნველყოფის შესწავლა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებით სხვადასხვა დროს შეძენილ იქნა ტექნიკა (3D პრინტერი, პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერები, მიკროპროცესორები და სხვ.). ასევე, ინფორმატიკის და მართვის სისტემების საფაკულტეტო ლაბორატორიამ შეიძინა National Instruments-ის აპარატურა პროგრამული უზრუნველყოფით. რაც საშუალებას იძლევა ჩატარდეს პროგრამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებული სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიული მეცადინეობები.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი მოიპოვა მაგისტრატურის პროგრამის ორმა სტუდენტმა. კვლევითი პროექტის ფარგლებში დამუშავდა ხელსაწყო, რომელიც ახორციელებს ელექტრულ გაზომვებს მიკროპროცესორული მართვით და ინფორმაციის გამოტანას საინდიკაციო მოწყობილობაზე, ასევე შესრულდა პროექტი - ჭკვიანი პარკირების სისტემის მართვა.

მაგისტრატურის სტუდენტები ასევე მონაწილეობდნენ ყოველწლიურ განათლების საერთაშორისო გამოფენებზე ექსპოზორჯიაში (2013-2018 წლები) მათ მიერ წარმოგდენილი იქნა მცირე ზომის პროექტები საგანმანათლებლო პროგრამა „მართვის სისტემები,

ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგის“ წარსადგენად აბიტურიენტათვის და გამოფენის სტუმრებისთვის, პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით.

სტუდენტებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალზე (2019), სადაც წარმოდგენილი იყო სტუდენტების მიერ დამუშავებულია იონომეტრული ხელსაწყო გრაფიკული დისპლეით და ქართული შრიფტის გამოყენებით და ალკოტესტერი.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება თვითშეფასების ჯგუფის წევრებს, რომ „პროგრამის გასაუმჯობესებლად აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება და ამ მიმართულებით სტუდენტების და აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობა“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სტუ-ს სამეცნიერო შრომების კრებული <http://shromebi.gtu.ge/ka/>
- პროგრამის განმახორციელებელი დეპარტამენტების ფეისბუქის გვერდები: <https://www.facebook.com/GTU.Automation71/>; <https://www.facebook.com/profile.php?id=100007642833481>
- მართვის სისტემებისა და მიკროპროცესორული და საზომი სისტემების დეპარტამენტების სხდომების ოქმი სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგის შესახებ (ოქმი №3)
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: [www.gtu.ge](http://www.gtu.ge)
- სტუდენტთა მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში
- სტუდენტთა მონაწილეობა სამეცნიერო გრანტებში
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან
- TEMPUS-ის პროგრამა გრანტის N 544091-TEMPUS-1-2013-1-BE-TEMPUS-JPCR, (DESIRE) დამადასტურებელი ინფორმაცია
- "National Instruments" (NI) დამადასტურებელი ინფორმაცია
- პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- თანამშრომლობა კაიზერსლაუტერნის ტექნიკურ უნივერსიტეტთან საგრანტო პროგრამა „ჩაშენებული სისტემების სწავლება საქართველოში,“ სტუდენტთა და პედაგოგთა გაცვლითი პროგრამების დამადასტურებელი სერტიფიკატები.
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მაგისტრანტებში ამაღლდეს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების მიმართ ცნობადობა, დაიხვეწოს მათი გამოყენების მექანიზმი;
- ამაღლდეს ცნობადობა ინტელექტუალური საკუთრებისა (.....,ინტელექტუალური საკუთრება“ მოიცავს სახელდობრ, საავტორო უფლებებს, მათ შორის კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების დაცვას,.....) და მისი დაცვის მექანიზმის მიმართ.
- ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება თვითშეფასების ჯგუფის წევრებს, რომ „პროგრამის

<p>გასაუმჯობესებლად აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება და ამ მიმართულებით სტუდენტების და აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობა“.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში, ლექციაზე, სემინარზე თუ პრაქტიკულ მეცადინეობებზე, კვლევითი კომპონენტის და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები. სამაგისტრო პროგრამის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები მოცემულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში, სადაც წარმოდგენილია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები. კერძოდ: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, ანალიზის, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ახსნა-განმარტებითი, დემონსტრირების, დისკუსია/დებატები, ანალიზის, სინთეზის, წერითი მუშაობის, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია. არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა ითვალისწინებს სასწავლო კურსის შინაარსს, სპეციფიკას, მოთხოვნებს, სასწავლო კურსით მისაღწევ შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. აღნიშნული მეთოდების გამოყენების ეფექტურობა დგინდება პროგრამის მონიტორინგის პროცესში.</p> <p>სწავლება-სწავლის მეთოდები გამოიყენება ისე, რომ გათვალისწინებულია სასწავლო</p>

<p>კურსის შინაარსი და მისაღწევი შედეგები. სასწავლო პროცესი კონცენტრირებულია სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლება-სწავლის მეთოდებზე. სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე (მაგისტრატურის) საფეხურს, კურსების შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)</li> <li>• სწავლა-სწავლების მეთოდები და შესაბამისი აქტივობები <a href="https://gtu.ge/quality/Files/Pdf/metodebi%20da%20aktivobebi%20(1).pdf">https://gtu.ge/quality/Files/Pdf/metodebi%20da%20aktivobebi%20(1).pdf</a></li> <li>• მართვის სისტემებისა და მიკროპროცესორული და საზომი სისტემების დეპარტამენტების სხდომების ოქმი სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგის შესახებ (ოქმი №3).</li> <li>• ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
